FOR THE HISTORY OF THE FEUDAL HOUSE OF CHKHEIDZES OF KARTLI
ქართლის ჩხეიძეთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის

TAMAZ LATSABIDZE
PhD student at Samtskhe-Javakheti State University
Rustaveli St. #113 Akhaltsikhe, Georgia
551 51 56 21, tamazlatsabidze1996@gmail.com
https://orcid.org/0009-0006-0624-0306

Abstract. Since the 16th century, the Chkheidzes have been moving from Imereti to Kartli and have created a small noble family, "Sachkheidzo", in the extreme west of the Kartli Kingdom, in the eastern foothills of the Likhi Range. Against this background, the work discusses the issue of the founder of the Chkheidze house - Kekaoz Chkheidze, and the relationship between the Chkheidzes of Imereti and Kartli. The Chkheidzes are related to both the main and side branches of the Bagrations - the Bagration-Mukhranbatons, as well as the famous Saakadze family. Such relationships played a certain role in their advancement and status. Taking into account the above, the issue of the Chkheidzes' participation in the conspiracy against King Rostom is clear. The Chkheidzes made a significant contribution to the restoration and revival of the Itria Monastery Complex of the Assumption of the Virgin Mary. They also worked in the religious sphere (Nikoloz Chkheidze, Svimon Chkheidze). The representative of the Chkheidzes of Kartli, Sekhnia Chkheidze, owns the historical work "The Life of Kings", which recounts the history of the country from 1653 to 1739. The Chkheidzes for almost a century - from the 20s of the 17th century to the 30s of the 18th century - were actively present at the royal court of Kartli, held a number of titles (Molaretukhutses, Bokaultukhutses), and were engaged in diplomatic activities.

Keywords. Kartli; Chkheidzes; Itria; feudal; house; history.

თამაზ ლაცაბიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
საქართველო, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. #113
551 51 56 21, tamazlatsabidze1996@gmail.com
https://orcid.org/0009-0006-0624-0306

აბსტრაქტი. XVI საუკუნის 90-იანი წლებიდან იმერეთიდან ქართლში გადმოდიან ჩხეიძეები და ქართლის სამეფოს უკიდურეს დასავლეთით, ლიხის ქედის აღმოსავლეთ მთისწინეთში შექმნეს მცირე სათავადო ,,საჩხეიძო". ამის ფონზე ნაშრომში გარკვეულია ჩხეიძეთა სახლის ფუძემდებლის - ქექაოზ ჩხეიძის საკითხი, იმერეთისა და ქართლის ჩხეიძეთა ურთიერთმიმართება. ჩხეიძეები ენათესავებიან ბაგრატიონთა როგორც ძირითად, ასევე გვერდით შტოს - ბაგრატიონ-მუხრანბატონებს, აგრეთვე სააკაძეთა ცნობილ საგვარეულოს. ასეთმა ურთიერთობამ გარკვეული როლი ითამაშა მათ დაწინაურებასა და მდგომარეობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით გარკვეულია როსტომ მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში ჩხეიძეთა მონაწილეობის საკითხი. ჩხეიძეებმა მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდეს იტრიის ღვთისმშობლის მიძინების სამონასტრო კომპლექსის აღდგენა-აღორძინებას. მოღვაწეობდნენ სასულიერო სფეროშიც (ნიკოლოზ ჩხეიძე, სვიმონ ჩხეიძე).

ქართლის ჩხეიძეთა წარმომადგენელს სეხნია ჩხეიძეს ეკუთვნის ისტორიული თხზულება ,,ცხოვრება მეფეთა", რომელშიც გადმოცემულია ქვეყნის ისტორია 1653 წლიდან 1739 წლამდე. ჩხეიძეები თითქმის ერთ საუკუნის განმავლობაში - XVII ს-ის 20-იანი წლებიდან - XVIII საუკუნის 30-იანი წლებამდე, - აქტიურად ჩანან ქართლის სამეფო კარზე, უკავიათ არაერთი სახელო (მოლარეთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი), ეწევიან დიპლომატიურ საქმიანობას.

საკვანძო სიტყვები. ქართლი; ჩხეიძეები; იტრია; ფეოდალური; სახლი; ისტორია.

შესავალი. XV საუკუნეში, საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის პროცესში, ფეოდალურმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა სათავადოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. საქართველოს ისტორია არაერთ ფეოდალურ სახლს იცნობს, რომლებიც ქმნიდნენ დიდ და მცირე სათავადოებს. ქვეყნის ცხოვრებაში ამიერიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ძველი თუ ახლადაღმოცენებული ფეოდალური საგვარეულოები. XV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში სხვა სათავადოებთან ერთად ჩამოყალიბდა ჩხეიძეთა სათავადო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ჩხეიძეები იმერეთის მთავართა შორის ,,...უწარჩინებულესი და შემძლებელი" გვარია (ვ. ბატონიშვილი, 1973:36).

ჩხეიძეთა ფეოდალურმა სახლმა XVI – XVII საუკუნეებში მნიშვნელოვან ძლიერებას მიაღწია იმერეთის სამეფოში. ისინი განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ დიდი ხნის განმავლობაში სამეფო კარზე პირველხარისხოვანი სახელოები ეჭირათ. აღსანიშნავია მათი მოღვაწეობა საეკლესიო სფეროშიც.

XVI საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩხეიძეები ქართლშიც არიან. საფუძველი ეყრება ჩხეიძეთა აქაურ შტოს. ქართლის ჩხეიძეთა სათავადოს აღმოცენება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართლისა და იმერეთის სამეფოებში XVI საუკუნის ბოლო მესამედში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებთან. XVI საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე იმერეთის სამეფოს შემოერთებისათვის ქართლის მეფემ სვიმონ I სამჯერ ილაშქრა იმერეთში. სვიმონის მხარეზე იბრძოდნენ იმერეთის სამეფოს თავადთა ერთი ნაწილი. მათ შორის იყვნენ ჩხეიძეებიც, რომლებიც ქართლის სამეფო კარს ენათესავებოდნენ. მარცხის შემდეგ, სვიმონმა ჩხეიძეები ქართლში გადმოიყვანა და აქ დაასახლა.

მეთოდები. წინამდებარე კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიულ მეცნიერებაში აპრორირებული კვლეის მეთოდებს: ემპირიულ ანალიზს, შედარებით-ისტორიულ მეთოდს, მიზეზობრივ -შედარებით ანალიზს, სინთეზს, აბსტრაქციას და სხვ.

მსჯელობა და შედეგები. შიდა ქართლის უკიდურეს დასავლეთით, ლიხის ქედის მთისწინეთსა და ისტორიულ სურამის ჭალაში, XVII საუკუნის 30-40-იანი წლებიდან იმერეთიდან გადმოსული ჩხეიძეები მკვიდრებიან. აქვე, სოფელი იტრია ხდება მათი რეზიდენცია. ყალიბდება მცირე სათავადო, რომელიც „საჩხეიძოს" სახელწოდებით არის ცნობილი.

იოანე ბაგრატიონის ცნობაზე დაყრდნობით, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლში დამკვიდრებული ჩხეიძეები რაჭის ერისთავების განაყოფები არიან. იოანე ბაგრატიონი წერს: „ესენი არიან ძველადვე თავადნი იმერეთისა საერისთოსა ჩიხორად წოდებულისა...

უკანასკნელ ამათნი სახლის შვილნი იწოდნენ ერისთავად რაჭისა, ხოლო შემდომ ამისა ამა ერისთავთაგან დამდაბლებულნი სახლის კაცნი თვისნი მოვიდნენ ქართლსა შინა და მეფემან ვახტანგმან მიუბოძა ადგილნი სურამის კერძოდ და დაასახლა მუნ წელსა 1668, და არიან მუნიდგან მოსულნი ქართლში და აგრეთვე იმერეთში დაშთომილნი ჩხეიძენი და სხვადასხვა სახლად მოსახლენი" (ბაგრატიონი, 1996:27).

ჩვენთვის უცნობია, რა მონაცემებს ეყრდნობა ი. ბაგრატიონი, როცა მიუთითებს, რომ ჩხეიძეები ქართლში რაჭიდან არიან გადმოსულები. არც ის ცნობა დასტურდება, რომ მათ 1668 წელს ვახტანგ V- მ (შაჰნავაზმა) ,,მიუბოძა ადგილი სურამის კერძოდ და დაასახლა მუნ". ისტორიული საბუთების მიხედვით ჩხეიძეები ქართლში უფრო ადრე, XVI საუკუნის 90-იანი წლებიდან მკვიდრდებიან. საბუთების მიხედვით, ისინი თავდაპირველად ქართლის სიღრმეში ჩანან და მხოლოდ XVII ს-ის 30-იანი წლების ბოლოდან მკვიდრდებიან „სურამის კერძოდ", სოფელ იტრიაში.

თეიმურაზ I-ის ,,სასარდლო წიგნში" ამილახორის სადროშოში შემავალი თავადების ნუსხაში ჩხეიძეები არ გვხვდებიან. ეს მაშინ, როდესაც წიგნში ხაშურის რეგიონიდან მოიხსენებიან აბაშიძეები, აბაზაძეები და იტრიის მონასტრის წინამძღვარი.

ე.ი. XVII საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა იწერებოდა თეიმურაზ მეფის „სასარდლო წიგნი", ჩხეიძეები იტრიაში არ არიან და მოგვიანებით ჩნდებიან აქ.

ამრიგად, ჩხეიძეები XVII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, არაუგვიანეს 40-იანი წლების დასაწყისისა, უნდა დამკვიდრებულიყვნენ იტრიაში.

ჩხეიძეთა საგვარეულოსადმი მიძღვნილ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართლის ჩხეიძეების სათავეებთან ქექაოზ ჩხეიძე დგას და მის თანამეცხედრედ ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) ასული სახელდება.

ავტორები იმოწმებენ ქართლის მეფის, სიმონ II-ის მიერ გორგასალ ჩხეიძისათვის კარალეთში ვახტანგ ციციშვილის ნაქონი მამულის წყალობის 1619 წლის სიგელს, რომლის გაცნობაც არანაირ საფუძველს არ იძლევა, ქექაოზ ჩხეიძე მივიჩნიოთ ქართლის ჩხეიძეთა სათავეებთან ერთი უბრალო მიზეზის გამო - მასში, საერთოდ, არ არის ნახსენები იგი.

არც მკვლევარი ო. სოსელია გვაწვდის რაიმე ცნობას ჩხეიძეთა სათავადოსადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში ქექაოზ ჩხეიძეზე (სოსელია, 1973:25-28).

არც მკლვევარ რ. ფირცხალაიაშვილთან ვხვდებით რაიმე ინფორმაციას ქექაოზ ჩხეიძის შესახებ. იგი ქართლის ჩხეიძეთა სახლის ფუძემდებლად გორგასალ ჩხეიძეს მიიჩნევს (ფირცხალაიშვილი, 1998).

ქექაოზ ჩხეიძის მიჩნევა ქართლის ჩხეიძეთა სახლის ფუძემდებლად უნდა მომდინარეობდეს მარი ბროსესგან, რომელმაც ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა ქართლის ჩხეიძეთა ცნობილი წარმომადგენლის, ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის თხზულება და მასზე დართულ ქრონოლოგიურ ნუსხაზე დაყრდნობით გამოთქვა ვარაუდი, რომ ,,აზნაური სეხნია ჩხეიძე შთამომავალი უნდა ყოფილიყო მეფე სიმონ I–ის დროს, კერძოდ, 1591 წელს ქართლში გადმოსახლებული ვინმე ქექაოზ ჩხეიძისა"(ბროსე, 1857:1).

უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევარები არ უთითებენ ვარაუდის ავტორს. ჩანს, რომ ისინი არ იცნობენ სეხნია ჩხეიძის „ამბავი მეფეთას" ხელნაწერზე დართულ ქრონოლოგიურ ნუსხას, რომელშიც გვხვდება ქექაოზ ჩხეიძე.

ცნობილია, რომ სიმონ I-მა 1588-1590 წლებში სამჯერ ილაშქრა იმერეთში მისი ქართლის სამეფოსთან შემოერთების მიზნით. აღნიშნულ მოვლენაზე საუბარია ბერი ეგნატაშვილთან და ფარსადან გორგიჯანიძესთან. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, იმერეთში

გადასულ სიმონს ,,შემოეყარა ზემოური იმერელები" (ეგნატაშვილი 1959:376), რომლებიც მის გვერდით იბრძვიან იმერეთის შემოსაერთებლად.

ვინ იგულისხმება ,,ზემოურ იმერლებში?"

თუ ბერი ეგნატაშვილი კონკრეტულად არ ასახელებს სვიმონის მომხრე ,,ზემოურ იმერლების" ვინაობას, ფარსადან გორგიჯანიძე პირდაპირ მიუთითებს აბაშიძეების, ჩხეიძეების და წერეთლების შესახებ, რომლებიც ,,მეფეს სვიმონს მოუვიდნენ" იმერეთში გადასვლის დროს.

ამ ფაქტზე საუბრობს სეხნია ჩხეიძე თავის თხზულებაზე დართულ ქრონოლოგიურ ნუსხაში. კერძოდ, 1592 წლის ქვეშ სეხნია ჩხეიძე აღნიშნავს, რომ „...წავიდა მეფე სვიმონ ლიხთ-იმერეთის დასაჭირავად, აიღო კაცხის ციხე კურასვანამდე და ქუთაისი. ამავე ქორონიკონს შეიბნენ მეფე სვიმონ და მამია დადიანი და იმერელნი. გაემარჯვა დადიანს და იმერელთ. თან გამოიტანა სიძე მეფემ ჩხეიძე ქექაოზ. ეს იყო იმერეთის თავი და სახლთუხუცესი შორაპნისა და სულათ საჩხეიძოსი მქონე. ვითარცა მეფის სვიმონის და ედგა, იქ აღარ ამყოფა. მისცა სასაფლაოდ ნიტრია, სარჩო მრავალნი" (ხეც, H-2304). ამრიგად, ს. ჩხეიძის ქრონოლოგიური ნუსხიდან ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ საიდან მომდინარეობს ქართლის ჩხეიძეთა სახლის სათავეებთან ქექაოზ ჩხეიძის დაკავშირება. 1592 წლიდან იგი ქართლშია და ასე ეყრება საფუძველი ქართლის ჩხეიძეთა ფეოდალურ სახლს.

სპეციალურ ლიტერატურაში ყურადღებას იქცევს ქართლისა და იმერეთის ჩხეიძეთა ურთიერთმიმართებაც.

მკვლევარი რ. ფირცხალაიშვილი მიუთითებს რაჭის ჩხეიძეთა შტოზე, ნაკლებ ყურადღებას იჩენს ჩხეიძეთა იმერეთის შტოზე. ამასთან აღნიშნავს, რომ „ჩხეიძეთა საგვარეულო ხაზი" „რაჭის ერისთავებისაგან დამოუკიდებლად არსებობას განაგრძობს, როგორც ერთი ძლიერი ფეოდალური სახლი" (ფირცხალაიშვილი, 1998).

ასეთი ფეოდალური სახლი, რ. ფირცხალაიშვილის მიხედვით, ქართლშია და მიუთითებს, აქ ჩხეიძეთა ორ სახლზე. მკვლევარს მიაჩნია, რომ ჩხეიძეთა ორივე სახლს, ქართლშიც და იმერეთშიც, გააჩნიათ მფლობელობა:

„XVII საუკუნის 30-იან წლებში წყაროებში ფიგურირებს ჩხეიძეთა ორი სახლი, რომლებიც მფლობელობას ინარჩუნებენ იმერეთშიც, მაგრამ მეტად წარჩინებულნი არიან ქართლშიც. ერთი გორგასალ ჩხეიძის მემკვიდრეთა სახლია, ჩხეიძეთა მეორე სახლის წარმომადგენლებად კი ვხედავთ რამდენიმე პირს - ბანანა, ბეჟან (ბეჟია), ოტია, ხუცია და გიორგი ჩხეიძებს. ცხადია, ეს სახლები ერთმანეთის განაყოფებია. ჩხეიძეთა მეორე სახლის შვილნი როსტომ მეფესთან დაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენლები არიან. ამ დაპირისპირებამ დიდი ფიზიკური ზიანი მიაყენა ჩხეიძეთა ამ სახლს, იგი თითქმის შეეწირა თავის პოლიტიკურ გეზს" (ფირცხალაიშვილი, 1998).

შეიძლება, ჩხეიძეთა ეს ორი სახლი მართლაც ერთმანეთის განაყოფები არიან, მაგრამ ჩხეიძეთა მეორე სახლს, რომელზეც საუბრობს რ. ფირცხალაიშვილი, არავითარი „მფლობელობა" აქვს ქართლში, არც „მეტად წარჩინებულნი არიან ქართლში", რადგან ისინი იმერეთში სახლობენ და იმერეთის ჩხეიძეთა შტოს წარმოადგენენ.

აუცილებელია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს იმერეთისა და ქართლის ჩხეიძეთა სახლები, რაც საშუალებას მოგვცემს, სწორად გადმოვცეთ მათ იერგვლივ განვითარებული მოვლენები.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გორგასალ ჩხეიძის მემკვიდრეთა სახლს არანაირი მფლობელობა გააჩნია იმერეთში, როგორც ამას რ. ფირცხალაიშვილი მიიჩნევს. ყოველ შეთხვევაში, ეს არ ჩანს ჩვენს ხელთ არსებულ არცერთ წყაროსა და დოკუმენტში.

ყურადღებას იქცევს ქართლში გადმოსული ჩხეიძეების ნათესაობა ქართლის დიდ

საგვარეულოებთან. ეს მომენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ დაწინაურებასა და მდგომარეობაზე, ნათელს ჰფენს მათთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს.

ჩხეიძეთა ქართლის სახლს სისხლით ნათესაობა აკავშირებდა ქართლის სამეფო კართან, როგორც ბაგრატიონთა ძირითად, ასევე გვერდით, მუხრანულ შტოსთან. ამ უკანასკნელთა სახლის მეშვეობით ჩხეიძეები უკავშირდებიან საკაძეთა ცნობილ გვარს.

1619 წელს ქართლის მეფის ბაგრატ VII - ის (1616-1619 წწ.) თანამეცხედრე, დედოფალი ანა და მისი ვაჟი - მეფე სვიმონ II მამულის წყალობის სიგელს აძლევენ გორგასალ ჩხეიძეს და მის შვილებს:

„...ჩვენ დედოფალთ - დედოფალმან პატრონმან ანამან და ძემან ჩუენმან პატრონმან მეფემან სვიმონ, თქუენ ჩვენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა მამიდაშვილსა ჩხეიძეს პატრონსა გორგასალს და შვილთა თქვენთა ბეჟანს, ქაიხოსროს და დავითს და მომავალთა სახლისასა თქვენისასა, ამას ჟამსა ოდეს მამულის წყალობასა გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება, შეგიწყალეთ და გიბოძეთ კარალეთი ვახტანგ ციციშვილის კერძი, რაც ციცისაგან ამას კერძოდ რგებოდეს ანუ აზნაურიშვილი და ანუ გლეხი ამისის სამართლიანის საგანაყოფოთ... ყოვლითურთ სახმარითა და უხმარითა ყოელა თქვენთვის გვიბოძებია...” (სცსსა, ფ. 1450. დავთარი #35, საბუთი #88).

ამრიგად, სიგელიდან კარგად ჩანს, რომ გორგასალ ჩხეიძის პაპა დედის მხრიდან არის ქართლის მეფე ლუარსაბ I, ბიძებია სიმონ I და დავით XI (დაუდ-ხანი), ბიძაშვილები გიორგი X, ბაგრატ VII და როსტომი.

ჩხეიძეებს ნათესაური კავშირი აქვთ ბაგრატიონ-მუხრან-ბატონების შტოსთანაც, რომლებიც ქართლის სამეფო ტახტზე ადიან როსტომ მეფის სიცოცხლეშივე - 1657 წლიდან. გიორგი XI- მ 1688 წელს ბეჟან ჩხეიძის შვილს - ქაიხოსროს მისცა სოფელ ფონა. სიგელში ხაზგასმულია, რომ გიორგი XI ქაიხოსრო ჩხეიძეს - „ერთგულად და თავდადებით ნამსახურსა” და „ნათესავსა და ყმას” აძლევს სახასო მამულს ფონას. როგორც ვხედავთ, გიორგი XI მიუთითებს ჩხეიძეებთან ნათესაობაზე, თუმცა არ ჩანს, რას ეფუძნებოდა ეს ნათესაური კავშირი.

ერთი საყურადღებო ფაქტიც.

1687 წელს ქართლის ტახტი ერეკლე I (ნაზარალიხანი) უბოძეს. გიორგი XI იძულებულია იმერეთში გადავიდეს. იგი ცდილობს, კვლავ დაიბრუნოს ტახტი. ირანის შაჰის - სოლეიმანის ზეობის ბოლო წლებში (1692-1694) მან ისარგებლა ირანში შექმნილი მდგომარეობით და ქართლის სამეფოს მართვა-გამგებლობას შეუდგა. შეიქმნა სიტუაცია, როცა თბილისში შაჰის მიერ ქართლის მმართველად ხელდასმული ერეკლე I ზის, ამ დროს კი ქართლის დანარჩენ ნაწილს რეალურად გიორგი XI მართავს. ასე გრძელდებოდა სამი წელი („იბატონა ქართლში მეფე გიორგიმ წელნი სამნი“). ასეთ ვითარებაში „მიიცვალა ყაენი შაჰ-სულეიმან და დაჯდა ძე მისი შაჰ-სულთან უსეინ“, რომელმაც „იწყინა“ გიორგის მიერ „ძალად დაჭერა ქართლისა“ და მის წინააღმდეგ „გამოუსია ჯარი“ ქალბახანის სარდლობით (ჩხეიძე, 1913:8).

მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირისპირ თრიალეთზე განეწყვნენ, მაგრამ ბრძოლა არ გამართულა. „შეიქნა რჩევა შებმისა, თავის ხელმწიფის ხლმის-კურა აღარ ამჯობინეს, მაგრამ აღარც ქართველთ მოინდომეს“ და გიორგი XI გაეცალა ბრძოლის ველს და კვლავ იმერეთში გადავიდა. მან „...ბატონიშვილი გიორგი (უნდა იყოს ქაიხოსრო-თ.ლ.), ვახტანგ და რძალი (რუსუდანი-თ.ლ.) გაგზავნა ჩხეიძის ქაიხოსროს სახლში, ვითაც ერთგული იყო (ხაზი ჩვენია-თ.ლ.) და შვილი ქაიხოსროსი თეიმურაზ ისპაანს ბატონისშვილს ლევანს შერჩომოდა და ერეკლე მეფეს არ გამოჰყოლოდა“.

ჩხეიძეებთან ბატონიშვილების გაჩერებამ ერეკლე I გააღიზიანა. სეხნია ჩხეიძე წერს: „რა

ჩხეიძეს მეფის ერეკლეს წყრომა მოუვიდა, ვეღარც ბატონიშვილები დადგნენ, აიყარნენ, წაუძღვა სეხნია. ერთ-პირად მოყვარე იყო აბაშიძე გიორგი, ციხე ჰქონდა მაგარი ხარაგეულს დააყენა ბატონიშვილი ვახტანგ, რძალი მეფისა რუსუდან, ბატონი თინათინ ქვაბს დააყენა, დადგა ბატონიშვილი ქაიხოსრო წიფას“.

ამრიგად, გიორგი XI, ქაიხოსრო და ვახტანგ ბატონიშვილებს, რუსუდანს და თინათინს იმიტომ აგზავნის ქაიხოსრო ჩხეიძესთან, რომ იგი „ვითაცა ერთგული იყო” მისი და ეიმედებოდა. ქაიხოსრო ჩხეიძის შვილიც, თეიმურაზი ისპაჰანში „შერჩომოდა“ გიორგის ძმას - ლევან ბატონიშვილს და ერეკლე მეფეს „არ გამოჰყოლოდა“ ქართლში. ეს ფაქტი კარგად მიგვანიშნებს, ჩხეიძეების გიორგი XI-ისადმი და საერთოდ მუხრან-ბატონებისადმი ერთგულებაზე. თუ როგორი ნათესაობით იყვნენ დაკავშირებული ჩხეიძეები მუხრან–ბატონებთან, ამის შესახებ მოგვიანებით გაცემული დოკუმენტიდან ხდება ცნობილი. 1729 წელს ვახტანგ VI-ის მიერ სეხნია ჩხეიძისათვის მიცემულ სიგელში ნათქვამია, რომ „...უწინ ბედნიერს პაპაჩვენს მეფეს შანავაზს (ვახტანგ V) თავისი დეიდაშვილის პაპაშენის ბეჟანისათვის (გორგასალ ჩხეიძის ვაჟი) ქვემო ბოლნისი წყალობა ექნა...” (სცსსა, ფ. 1450, დავთარი #35, საბუთი #120).

ე.ი. ვახტანგ V (შაჰნავაზი) და ბეჟან ჩხეიძე დეიდაშვილები არიან.

აქ კიდევ ერთ საინტერესო დეტალს უნდა გაესვას ხაზი: ვახტანგ V-ის დედა დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ასულია. ე.ი. ბეჟან ჩხეიძის დედაც გიორგი სააკაძის ასულია.

ამრიგად, დასტურდება ჩხეიძეთა ნათესაობა ქართლის კიდევ ერთ დიდ ფეოდალურ გვართან - სააკაძეებთან. გიორგი სააკაძის სიძეა გორგასალ ჩხეიძე, ბეჟან ჩხეიძის მამა. ირკვევა, რომ გორგასალ ჩხეიძე გიორგი სააკაძის თანამებრძოლია და მის თანამოაზრეთა, ე.წ. ,,მოკიდებულ კაცთა” შემადგენლობაში შედის.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩხეიძეთა და სააკაძეთა ქართლის სამეფო კართან სიახლოვემ განსაზღვრა მათი დაახლოება და დანათესავება.

ქართულ წყაროებში გიორგი სააკაძის ქალიშვილების შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ,,...ქსნის ერისთავი იასე და მუხრანის ბატონი თეიმურაზ მოურავის სიძენი იყვნენ“ (გორგიჯანიძე, 1925:235).

იოსებ თბილელი ,,დიდმოურავიანში“ გიორგი სააკაძეს ათქმევინებს: ,,ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ, ჩემთვის მკვდარია“ (იოსებ თბილელი, 1989:635).

ამ სამი ქალიშვილიდან ორის სახელი უცნობია, ხოლო მესამის, ფარად ფაშას მეუღლის სახელია ცნობილი, მას ისტორიკოს პლ. იოსელიანის ცნობით მარიამი რქმევია (პლ. იოსელიანი, 1973:56). იგი უნდა იყოს ანე ხათუნი, რომელიც 1649 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია არზრუმში (ნ. შენგელია, 1973:145-151).

ეს მარიამი (იგივე ანეხანუმი) უნდა იყოს დიდი მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასისხლო საქმეზე 1620 წლის 15 აპრილს სიმონ მეორის მიერ მიღებულ განჩინებაში მოხსენიებული გიორგი სააკაძის ერთ-ერთი, ამ შემთხვევაში, მესამე ქალიშვილი(ქსძ, 1972:55-64). განჩინებაში აღნიშნულია, რომ ქაიხოსრო ჯავახიშვილს გიორგი სააკაძისათვის ქალიშვილის ხელი უთხოვია ვაჟიშვილისათვის. გიორგის თანხმობა მიუცია, მაგრამ როცა იგი სპარსეთში წასულა, ქაიხოსროს თავისი ვაჟისთვის ზურაბ არაგვის ერისთავის ქალიშვილი შეურთვევინებია ცოლად. ,,ქაიხოსრომ... ქალი მთხოვა და მივეცო. აწე ქაიხოსროს თავის შუილისათუის ცოლი უთხოვნიაო“ (ქსძ, 1972:59). გიორგი სააკაძე მოყვრობის ჩაშლის მიზეზად მის სპარსეთში წასვლას ასახელებს. ,, ყაენთან წასვლის გულისთვის ქალი რატომ დამიგდეს... დღესაც ისრევ უქმროდ არისო“(ქსძ, 1972:60).

ე.ი. როცა ეს განაჩენი იწერებოდა (1620 წ.) გიორგი სააკაძის მესამე ქალიშვილი

გათხოვილი არ არის. გამოთქმულია ვარაუდი, რომ სწორედ ეს ქალიშვილი არის ფარად ფაშას მეუღლე. ამავეს აღნიშნავს ისტორიკოსი პლ. იოსელიანიც.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ გიორგი სააკაძეს სამი ქალიშვილი ჰყავს. პროფესორი გ. ჯამბურია, როცა ამ საკითხზე საუბრობს, მიუთითებს: ,,გიორგი სააკაძეს და მის მეუღლეს შვიდი შვილი ჰყავდათ (ყოველ შემთხვევაში, წყაროებში მეტი არ ჩანს). აქედან სამი ქალი იყო და ოთხი ვაჟი... ორი უფროსი ქალი გიორგის ირანში გადახვეწამდე, ე.ი. 1612 წლამდე გაუთხოებია. მესამე კი 1620 წ. შემდეგ გათხოვილა. უფროსი ქალი თეიმურაზ მუხრანბატონის მეუღლე ყოფილა, ორი დანარჩენიდან ერთი- იასე ქსნის ერისთავისა, ხოლო მეორე ახალციხელი ფარად-ფაშას მეუღლე. სხვა არაფერი ვიცით გიორგის ქალების შესახებ“ (გ.ჯამბურია, 1964:39). პროფესორი ლ. სანიკიძე გიორგი სააკაძის რვა შვილზე ლარაკობს. აქედან ხუთი ვაჟია, ხოლო სამი ასული. ქალიშვილების სახელები ისტორიისთვის უცნობია, დასძენს მკვლევარი. შემდეგ პროფესორი მიუთითებს, რომ ,,ამ სამ დათაგან უფროსს თეიმურაზ მუხრან ბატონი შეირთავს, შუათანას - იასე ქსნის ერისთავი, უმცროსს- ფერად ფაშა ჯაყელი (ლ. სანიკიძე, 1988:14). მკვლევარი რ. ფირცხალაიშვილი აღნიშნავს, რომ ,,გიორგი სააკაძეს სამი ასული ჰყოლია, რომელთაგან ერთი იყო მეუღლე მუხრანბატონისა, მეორე - ქსნის ერისთავისა, მესამე - ფარად ფაშისა... სააკაძისა და ფარად ფაშის მოყვრობის შესახებ ცნობა შემონახულა თვით ტფილელის პოემაში (,,ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა..“). სააკაძისა და ჯავახიშვილს სასამართლო განჩინების წიგნიდან ვიცით, რომ იმ პერიოდში, როცა ეს სასამართლო შედგა, ე. ი. 1620 წელს, გიორგი სააკაძის ერთი ასული გაუთხოვარი იყო (ეს ის ასულია, რომელზედაც ადრე ჯავახიშვილის ვაჟს სურდა დაქორწინება). ვფიქრობთ, სავსებით მართებულია ის აზრი, რომ შემდეგში სწორედ ეს ქალი უნდა გამხდაროყო ფარად ფაშის მეუღლე“(რ. ფირცხალაიშვილი, 1978:131-132). მაგრამ წყაროებში ჩანს გიორგი სააკაძის კიდევ ერთი, მეოთხე ქალიშვილი. მართალია, დოკუმენტი, რომელშიც დაცულია ეს ცნობა, გვიან არის შედგენილი (1729 წ), მაგრამ იგი პირდაპირ მიუთითებს ამ ფაქტზე. ამ დოკუმენტის თანახმად, გიორგი სააკაძის ერთი ქალიშვილი ქართლის ჩხეიძეთა სახლშია. გორგასალ ჩხეიძე, ქექაოზ ჩხეიძის ვაჟი, დიდი მოურავის სიძეა. გიორგი სააკაძის ამ ქალიშვილის სახელიც უცნობია.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს. მკვლევარი რ. ფირცხალაიშვილი მოგვიანებით, 1998 წელს, მიუბრუნდა ფარად ფაშას საკითხს ვრცელ ნარკვევში ,,ბრძოლა გიორგი სააკაძის წინააღმდეგ მეოცე საუკუნის დასასრულს“ და ცდილობს მისი ვინაობის გარკვევას. მკვლევარი ერთსა და იმავე პიროვნებად მიიჩნევს ფარად ფაშასა და გორგასალ ჩხეიძეს და წერს: ,,...გიორგი სააკაძის ერთ - ერთ სიძედ იოსებ ტფილელის პოემაში დასახელებულია ვინმე ფარად ფაშა (,,ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ ჩემთვის მკვდარია“) ... ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება გიორგი სააკაძის სიძე - გორგასალ ჩხეიძე.

ფაშობის ტიტული, ცხადია, ხონთქრის წყალობაა. ფარსადან გორგიჯანიძეც გვაუწყებს, რომ როცა გიორგი სააკაძე და მისი თანხმლები პირები თურქეთში ჩავიდნენ, ,,სამიოთხი საფაშო სარჩოდ გაუჩინეს, დიდნი პატივი დასდვეს.“ ერთ-ერთი საფაშოს ფაშად, როგორც ჩანს, გორგასალ ჩხეიძე უნდა ვივარაუდოთ. სხვათა შორის, თურქეთში თვით გიორგი სააკაძისთვისაც უბოძებიათ ფაშობის ტიტული, მისთვის ,,მეჰმედ ფაშა“ შეურქმევიათ... ფარად ფაშის შესახებ იოსებ ტფილელის ცნობაში წარმოდგენილია ერთი ამოსაცნობი ბიოგრაფიული დეტალიც, რითაც, ვფიქრობთ, სრულიად სარწმუნო ხდება, რომ ფარად ფაშა იგივე გორგასალ ჩხეიძეა. ტფილელი ფარად ფაშას უწოდებს გიორგი სააკაძის სიძეს და ამავე დროს აღნიშნავს, რომ იგი ,,თავდადებ მკვდარია“ გიორგი სააკაძისთვის.

ასეთი პირი იყო სწორედ გორგასალ ჩხეიძე, რომელმაც თავისი ნებით თავი დასდო

მოსაკვეთად გიორგი სააკაძის საქმისთვის“(რ. ფირცხალაიშვილი, 1898:9).

ვფიქრობთ, მკვლევარი უნდა ცდებოდეს, როცა იგი საუბრობს ფარად ფაშისა და გორგასალ ჩხეიძის იდენტურობაზე.

თუ ფარად ფაშა და გორგასალ ჩხეიძე ერთი და იგივე პიროვნებაა და მისივე თქმით, გიორგი სააკაძის მესამე ქალიშვილი, რომელიც 1620 წლისათვის ჯერ კიდევ გასათხოვარია, მისი მეუღლეა, მაშინ ისტორიულ რეალობას რა ვუყოთ? 1619 წლის სიმონ II-ის წყალობის სიგელში გორგასალ ჩხეიძე ხომ თავის შვილებთან - ბეჟანთან, ქაიხოსროსთან და დავითთან ერთად მოიხსენიება (სცსსა, ფ.1450, დავთ.35/88).

თუ გორგასალ ჩხეიძის (რ. ფირცხალაიშვილსათვის იგივე ფარად ფაშას) და გიორგი სააკაძის ქალიშვილის ქორწინება 1620 წლის შემდეგ შედგა, მანამდე როგორ გაჩნდა მათი სამი შვილი?

არც ,,ერთი ამოსაცნობი ბიოგრაფიული დეტალი“ მიგვანიშნებს მათ იდენტურობაზე. მართალია, იოსებ ტფილელი ფარად ფაშაზე ამბობს, რომ იგი გიორგი სააკაძისთვის ,,თავდადებ მკვდარია“ და ,,ასეთი პირი იყო სწორედ გორგასალ ჩხეიძე, რომელმაც თავისი ნებით თავი დასდო მოსაკვეთად გიორგი სააკაძის საქმისთვის“, მაგრამ რომელმა მისმა თანამებრძოლმა არ გაიზიარა დიდი მოურავის ხვედრი?

ანგარიშგასაწევი უნდა იყოს პროფესორ გ. ჯამბურიას მოსაზრება ფარად ფაშას შესახებ. როდესაც მკვლევარი გიორგი სააკაძის მიერ მოსალოდნელი აჯანყებისათვის საგარეო მოკავშირეების ძიებას ეხება, წერს: ,,აღნიშნულ პოლიტიკურ მიზანს უნდა ისახავდეს სააკაძის ქალიშვილისა და ფარად ფაშას (იგი ათაბაგების გამუსლიმანებული ჩამომავალი უნდა იყოს) ქორწინება, რომელიც სწორედ აჯანყების სამზადისის პერიოდში, 1620-1624 წლებში მოხდა. ფარად ფაშას, რომელიც ოსმალეთის მოხელე იყო, საჭიროების შემთხვევაში სააკაძის ოსმალეთთან დაკავშირება შეეძლო“(გ.ჯამბურია, 1964:119).

ამასთან დაკავშირებით პროფესორი ნ. შენგელია აღნიშნავს: ,,იოსებ თბილელის მიხედვით, გ. სააკაძის სიძე, რომელიც ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელია, ოსმალო სულთნის სამსახურში იმყოფება, ხაზინადარის მოვალეობას ასრულებს. ხაზინადარის თანამდებობა კი საკმაოდ მაღალი პოსტი იყო ოსმალეთის იმპერიაში. ადვილი შეასძლებელია, რომ ფარად ფაშა ხაზინადარი ყოფილიყო არზრუმის ვილაიეთში...“(ნ. შენგელია, 1973:146).

კიდევ ერთი დეტალი: ბაზალეთის ომის შემდეგ გიორგი სააკაძე ცოლ-შვილს სამცხეში აგზავნის: ,,ცოლ-შვილი სამცხეს დავაგდე, მოყვრები მიიბარევდეს“. ე.ი. 1626 წლისათვის თვალნათლივ ჩანს, რომ გიორგი სააკაძეს მოყვრები ჰყავს სამცხეში, ცხადია, თავისი სიძის-ფარად ფაშის სახით. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფარად ფაშა არ იქნება გორგასალ ჩხეიძე, რომელიც დიდი მოურავის გვერდით ჩანს ბაზალეთში და მარცხის შემდეგ გიორგი სააკაძესთან ერთად გადაიხვეწება ოსმალეთში.

ქართლის ცხოვრების ავტორები ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი საინტერესოდ მოგვითხრობენ დიდი მოურავისა და მისი სიძის უკანასკენელ დღეებზე. საყურადღებო აქ ის არის, რომ დიდი მოურავის გვერდით არამარტო მისი სიძე, - გორგასალ ჩხეიძე, არამედ მისი შვილიშვილიც, გორგასალის ვაჟი - ბეჟან ჩხეიძეც დგას.

ცნობილია, რომ 1626 წელს, ბაზალეთთან დამარცხების შემდეგ, გიორგი სააკაძე იძულებულია, თავისი თანამოაზრეებით ოსმალეთში წავიდეს.

ბერი ეგნატაშვლი დიდი მოურავის ოსმალეთში უკანასკნელი დღეების შესახებ მოგვითხრობს:

გიორგი სააკაძის წარმატებით გაღიზიანებულმა აზამ ვეზირმა „დაჰპატიჟა და ღალატით მოკლა მოურავიცა და შვილებიცა და გამგებელი ქაიხოსრო რაცა ჰყვანდა, ყოველივე

ამოუწყვიტა. ერთი შვილი ახლდა თანა ავთანდილ, მოუკლეს იგიცა“. ამ მომენტში მემატიანე შემდეგ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას: „მაშინ თან ახლდა (გიორგი სააკაძეს - თ.ლ.) გორგასალ და შვილი მისი ბეჟან, და წააყენეს ბეჟან სასიკუდილოდ. მაშინ შეეხუეწა და ქრთამი მისცა იასაულს, რომ მაგ ჩემს შვილს კი ნუ მოკლავ და მე მომკალო, ჩემი თავი ანგარიშში გაგეთულებაო და მაგას ნუ მომიკლავო. მაშინ ისმინა მტარვალმან და არღარა მოუკლა შვილი, თვით გორგასალ მოკლა: თავი მოსჭრა, მიიტანა და ანგარიშში გააროინა. ბეჟან მორჩა წარმოვიდა” (ეგნატაშვილი, 1959:412).

თითქმის იგივეს მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი მოურავის უკანასკნელი დღეებზე.

მისი მიხედვით აზამ ვეზირმა „...შეიპყრა ქაიხოსრო, მოურავი და ყოველნი ქართველნი მათ-თანანი და წარკუეთნა ყოველთა თავნი. არამედ გორგასლის შვილს ბეჟანს რა ჰკუეთდენ თავსა, ეტყოდა მამა მისი მტარვალსა მას ნიჭის მიცემითა: „მე მომკუეთე თავი და განუტევე ძე ჩემი''. რამეთუ იგი განტევებულ იყო ნიჭისა მისთვის, განუტევა ბეჟან და წარკუეთა თავი გორგასალს...” (ბატონიშვილი 1973:436).

არცერთი მემატიანე, არც ბერი ეგნატაშვილი და არც ვახუშტი ბატონიშვილი, მამა-შვილის - გორგასალისა და ბეჟანის გვარს არ ასახელებს, არც დიდ მოურავთან მათ ნათესაურ კავშირზე მიუთითებს. ამ საკითხის გარკვევა მხოლოდ ზოგიერთი მათი თანადროული, თუ შემდგომი პერიოდის ისტორიული დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ხდება შესაძლებელი (ფირცხალაიშვილი, 1998).

გორგასალ ჩხეიძე, როგორც ზემოთ მოხმობილი ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებიდან ჩანს, შემთხვევით ასცდა დაპატიმრებას, მაგრამ დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა მისი ვაჟი - ბეჟან ჩხეიძე. ჯალათს დატყვევებულები თვლით მიაბარეს და შესაბამისად, მათი მოკვეთილი თავებიც თვლით უნდა ჩაებარებინა ვეზირ აზამისათვის. გორგასალს შეეძლო, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გაცლოდა იქაურობას და თავი გადაერჩინა. მაგრამ მან - თავისი თავი შესთავაზა ჯალათს შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ და დიდი მოურავისა და სხვა დატყვევებული ქართველების ბედი გაიზიარა. ამრიგად, დიდი მოურავის ამალიდან მხოლოდ ბეჟან ჩხეიძე გადაურჩა სიკვდილს და XVII საუკუნის 30-წლების დასაწყისში უკან, სააქართველოში დაბრუნდა.

1632 წლიდან ქართლში სამეფო ტახტზე უკვე როსტომი არის, რომელმაც მფარველობა და ყურადღება არ მოაკლო თავისი მამიდაშვილის გორგასალ ჩხეიძის შვილს - ბეჟან ჩხეიძეს და მის სახლს.

როსტომ მეფის 1633 წლის 1 მაისის სიგელით ბეჟანმა სამეფო კარისგან წყალობად მამულები მიიღო ლიახვის ხეობაში კარბისა და გვრითიბის სახით: „...ჩვენ მეფემან პატრონმან როსტომ, ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენს მამიდაშვილს ჩხეიძეს ბეჟანს, ქაიხოსროს, დათუნასა, შვილთა და მამავალთა სახლისასა თქვენისათა… შეგიწყალეთ, და გიბოძეთ ლიახუს ქვეშეთ კარბს და გვრითებში რაც ზედგენიძე თამაზას ნაქონი მამული…” (სცსსა, ფ. 1450, დავთარი #35, საბუთი #92). 1634 წელს უკვე ქართლის დედოფალმა მარიამმა უწყალობა ბეჟან ჩხეიძეს და მის ძმებს ზურაბიშვილები თავიანთი მამულით: „...ჩვენ დედაფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა ჩხეიძე ბეჟანს და ქაიხოსროს და დავითს და ნიკოლაოზს... გიბოძეთ ზურაბაშვილები მათის მამულითა, რისაც მქონებელნი იყვნენ...'' (სცსსა, ფ. 1450, დავთარი #35, საბუთი #117).

რაც შეეხება როსტომ მეფესთან ჩხეიძეთა დაპირისპირების საკითხს.

მკვლევარები ერთმანეთთან აიგივებენ და ერთ პიროვნებად მიიჩნევენ იმერეთის ჩხეიძეთა სახლის მეთაურს, იმერეთის სამეფო კარის სახლთხუცესს ბეჟია ჩხეიძეს და ქართლელ ჩხეიძეთა სახლის მეთაურს, გორგასალ ჩხეიძის შვილს – ბეჟან ჩხეიძეს.

ჩხეიძეთა საგვარეულოსადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბეჟან ჩხეიძე ქართლში დაბრუნების შემდეგ იმერეთში გადავიდა, იქ მოღვაწეობს და სამეფო კარზე სახლთუხუცესის სახელოს ღებულობს. იქვეა აღნიშნული, რომ მისი ასული იმერეთის მეფის გიორგი IV-ის ვაჟიშვილის - მამუკას თანამეცხედრე ხდება (ჩიქოვანი..., 2004:14).

ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე გარკვევით მიუთითებს, რომ მამუკა ბატონიშვილის მეუღლე ბეჟია ჩხეიძის ასულია (გორგიჯანიძე, 1925:246).

იმავე ავტორებს თავად ჩხეიძეთა გენიალოგიაში დაშვებული აქვთ ზოგიერთი უზუსტობა. კერძოდ, გორგასალ ჩხეიძის შთამომავლად არის მიჩნეული იმერეთის ჩხეიძეთა სახლის წარმომადგენელი ბანანა, ხოლო ბეჟანის შვილებად ხუცია და ოტია. გორგასალის შვილის - ქაიხოსროს შვილად მიიჩნევენ აფხაზეთის კათალიკოსს სიმონს და ა.შ (ჩიქოვანი... 2004:34). ქართლის ჩხეიძეთა დაპირისპირება როსტომ მეფესთან უნდა გამოირიცხოს რადგან ისინი მისი ნათესავები (მამიდაშვილები) არიან და მისი მფარველობით სარგებლობენ. რაც შეეხება იმერეთის ჩხეიძეებს, ისინი როსტომის მოწინააღმდეგეთა ბანაკში არიან და მის წინააღმდეგ შეთქმულებაშიც მონაწილეობენ. ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს, რომ „მაშინ ახლდა ნოდარს ორნი ძმანი ჩხეიძენი გარდმოვარდნილნი და იყვნენ ნოდართანა“ (ეგნატაშვილი, 1959:422). ე.ი. ამ ჩხეიძეებს არავითარი ურთიერთობა არ აქვთ ქართლის ჩხეიძეებთან, ბერი ეგნატაშვილი გარკვევით მიუთითებს, რომ ეს ჩხეიძეები, რომლებიც შეთქმულთა გვერდით დგანან, „გადმოვარდნილნი“ (ე.ი. გადმოსულები) არიან.

XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა იმერეთის სამეფოს და ცდილობდა დასავლეთ საქართველოში გაბატონობას. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ლევან დადიანი ნამეტნავად გაძლიერებულიყო და იმერეთი დაეჩაგრა” (გორგიჯანიძე, 1925:246).

დადიანის წინააღმდეგ იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის მხარეზე იბრძოდნენ ჩხეიძეები. ჩხეიძეთა სახლის მეთაურის - ბეჟია ჩხეიძის ქალიშვილი ალექსანდრე III-ის ძმას - მამუკა ბატონიშვილს ჰყავდა ცოლად. ამიტომ ბეჟია და სხვა ჩხეიძეები „...დადიანის ძალით იმერეთით გაყრილნი იყვნენ“ და მამუკა ბატონიშვილთან ერთად ახალციხეს - საფარ ფაშასთან აფარებდნენ თავს.

ქართლის მეფეს როსტომს შვილი არ ჰყავდა და მის შემდგომ სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხი გაურკვეველი იყო. ქართლის თავადებმა ინიციატივა გამოიჩინეს და მოციქულები მიუგზავნეს: მემკვიდრედ იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის ძმა მამუკა ბატონიშვილი - „...მამაცი და უხვი და უშურველი კაცი” - გამოეცხადებინა.

„მამუკა ბატონისშვილის სიკეთე თქვენც მოგხსენებიაო, – მიმართავდნენ ქართლის დიდებულები როსტომს, – თავად ბაგრატიონი და მერმე მეფის შვილი და თქვენი ნათესავი არისო, ახალციხით ჩამოაყვანინეთო, იშვილეთო და თქვენც მოისვენეთ და საქართველოც მოასვენეთო და ქვეყანა დაწყნარდებაო. თუ ღმერთმან თქვენ ყმაშვილი მოგცესო, ეს თავის სამკვიდროზე გააბატონეთო. თუ თქვენ შვილი არ გაგიჩნდეს, სიდამდისინ ბრძანდებოდეთო, სურამის შესავალი საუფლისწულო უბოძეთო, იმერეთიც ზედ აბიაო და იქიდამენც ხელს მოიმართავსო და თქვენად შვილად აკურთხეთო და ღმერთმან დიდს ხანს გაცოცხლოსო, თქვენს უკან მაგას ვიბატონებთო” (გორგიჯანიძე, 1925:246).

როსტომ მეფემ თანხმობა განაცხადა და ახალციხიდან ჩამოყვანილ მამუკა ბატონიშვილს „...ნამეტნავად კარგად დახვდა”.

მალე როსტომის წინააღმდეგ ქართლის დიდებულთა ერთმა ნაწილმა შეთქმულება მოაწყო. ფარსადან გორგიჯანიძე წერს: „აწე შექნეს ეშმაკივით რჩევა და ღმერთი ჰგმეს და პატრონყმობა სწვალეს და მეფის როსტომის სიკვდილი გაჰბედეს და მამუკა ბატონისშვილის გამეფება მოინდომეს ქართლშია“.

შეთქმულებმა როსტომ მეფეს მკვლელები ჩაუსაფრეს აბანოში, მაგრამ „იქმნა სიმართლისათვის მეფე როსტომ მღთისაგან დაცულ დაფარული“. მკვლელებმა აბანოში შემთხვევით შესული მოსამსახურე მეფეთ მიიჩნიეს და ის დაჭრეს. მათ „ხმით იცნეს, რომ მეფე არ იყო, მოკვლა აღარ მოიცადეს“ და გაიქცნენ. „დაკოდილი კაცი მეფეს მიჰგვარეს და მოახსენეს“ შეთქმულთა შესახებ.

როსტომ მეფემ, რომელიც „მრავალგვარად ნაცადი და აუჩქარებელი, ჭკვიანი, მონახული ბატონი ბრძანდებოდა”, გაანალიზა შექმნილი ვითარება, მოერიდა „ქვეყნის აშლას და ჯარის არევას”. შეთქმულების „ანბავი აღარც თვითონ თქვა და არც სხვათ ათქმევინა”. როსტომმა კარგად ,,იცოდა, თუ ვისი ქნილობა არის და ან რა სწადიათ და ან მოღალატე ვინ არის” (გორგიჯანიძე,1925:247).

როსტომმა „ათის ათასის მარჩილის საჩუქარი სომანეთის ჭალაში (ალის ფრონეს ხეობა - თ.ლ.) მჯდომს მამუკა ბატონიშვილს გაუგზავნა და ასრე მისწერა: ყაენისაგან მერიდებისო, არამც კარზედ გიხმონო, ჩემგან საფიცარი გაქვთო, რომ თქვენი უნებური არა გკადრო რაო. თქვენც მოგეხსენებისო, ყაენის უარის თქმა არ შეგვიძლიაო. ისრევე ახალციხეს მიბრძანდითო და რაც ხელით გამოგვივაო, იქიდამაც მოგიმართავთო ხელსაო”.

მამუკა ბატონიშვილი მიუხვდა როსტომს, რასაც იგი თავის სიტყვებში მალავდა. მიხვდა იმასაც, რომ ქართლში აღარ ედგომებოდა აიყარა და ისევ ახალციხეს მიაშურა საფარ ფაშასთან. მამუკას ამალის ერთი ნაწილი - ჩხეიძეებისა და სხვათა სახით ქართლში დარჩნენ. „ჩხეიძენი და ზოგნი სხვა საბატიოს კაცის შვილები ქართლს დადგნენ, ზოგი ციციშვილის ნოდარისასა და ზოგნი სხვაგან“ (გორგიჯანიძე, 1925:247).

სწორედ ამ ჩხეიძეებს გულისხმობს ბერი ეგნატაშვილი „გადმოვარდნილებში“, რაც უნდა გავიგოთ, როგორც იმერეთიდან გადმოსულები.

მარცხის შემდეგ დიდებულთა ერთმა ნაწილმა სხვა გზას მიმართა. მათ თეიმურაზის გამეფება მოინდომეს ქართლში.

ქართლის დიდებულთა გვერდით არიან მამუკა ბატონიშვილის მხლებელი ჩხეიძეები და „სხვა იმერეთის საბატიოს კაცის შვილები“. როსტომსა და შეთქმულებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა სოფელ ხოვლესთან გაიმართა. როსტომის მოწინააღმდეგეთა ლაშქარში იბრძოდნენ ჩხეიძეები.

ფარსადან გორგიჯანიძის თქმით: „დიდს ხანობამდისინ ჩხეიძებმან ძალმიცემით ომი გარდიხადეს და საქმეც გაუჭირეს, ლაშქარიც დააბალითეს და კარგადაც იყვნენ”, მაგრამ შეთქმულებმა ზურგი არ გაუმაგრეს და „კიდეც დაიჭრნეს, დაიღალნეს”.

როსტომმა იერიში მიიტანა ჩხეიძეებზე.

ბეჟია ჩხეიძე იორამ მოურავიშვილმა შეიპყრო და „დაირჩინა“, დანარჩენი ჩხეიძეები „ზოგნი ბარათიანთ დაირჩინეს, ზოგნი ელიზბარ ბოქაულთ უხუცის ყმებმან დაირჩინეს”. მოგვიანებით, 1643 წელს როსტომი ბარათაშვილებისათვის მიცემულ წყალობის წიგნში მიუთითებს: „...მერმე სახლის უხუცის ჩხეიძეს ბეჟიას შვილი ოტია ხელთ დაგრჩომოდა და ხელშეკრული ჩვენს წინაშე მოიყვანეთ“. შეთქმულები ამჯერადაც დამარცხდნენ და მეფემ გაიმარჯვა. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, „რა მიეწივა როსტომ მეფე ნოდარს, გამოუბრუნდენ ორნივ ძმანი ჩხეიძენი, შემოებნენ იომეს და დახოცნეს იგინიცა“ (ეგნატაშვილი, 1959:422).

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩხეიძეები შეიპყრეს და როსტომს მიჰგვარეს. „ჩხეიძენი დაჭრილნი და დარჩენილნი მეფეს წინ მოასხეს მხარწაკრულნი და გამარჯვება მოულოცეს". მეფის ბრძანებით ჩხეიძეებს „მკლავნი გაუხსნეს და გორს გაგზავნეს", ხოლო შემდეგ სპარსეთში ყაენთან გაისტუმრეს.

შეთქმულთა შემორიგების შემდეგ როსტომმა სპარსეთის ყაენს მისწერა, გიორგი და ოტია მოაყვანინა, ხოლო ბეჟია და ხუცია ისევ ყაენის კარზე დარჩნენ, ამ უკანასკნელთა ბედი უცნობია. გიორგი ჩხეიძე არეულობის მსხვერპლი გახდა და ახალციხისკენ მიმავალი მოკლეს. რაც შეეხება ოტია ჩხეიძეს, მას იმერეთის სამეფო კარზე ვხედავთ - თეიმურაზ I-ის ასულის დარეჯან დედოფლის ქმრის - ვახტანგ ბაგრატიონის (ჭუჭუნიასშვილის) შეპყრობის დროს.

მკვლევარი რ. ფირცხალაიშვილი აღნიშნავს, რომ ბეჟან (ბეჟია) ჩხეიძე „თავდაპირველად, როსტომის სახლთუხუცესი ყოფილა, მაგრამ შემდეგ ბეჟან ჩხეიძე და მისი შვილი ოტია, ძმისწულები გიორგი და ხუცია როსტომის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩენილან".

მკვლევარი თ. ბურჭულაძე სიტყვა-სიტყვით იმეორებს რ. ფირცხალაიშვილის ამ მოსაზრებას (ბურჭულაძე, 2004-2005:129).

ეს ბეჟან ჩხეიძე, იგივე ბეჟია ჩხეიძეა, რომელიც იმერეთის სამეფო კარზეა სახლთუხუცსი და არავითარი საერთო არ აქვს როსტომის სამეფო კართან, მით უფრო ჩხეიძეთა ქართლის სახლთან, რომლებიც როსტომის ახლობლები - მამიდაშვილები არიან და მისი მფარველობით სარგებლობენ. იმერეთის ბეჟანის და ქართლის ბეჟანის გაიგივება ერთ პიროვნებად უნდა მომდინარეობდეს ვ. ფუთურიძის „ქართულ სპარსული ისტორიული საბუთებიდან", რომელშიც ბეჟია ჩხეიძე მიჩნეულია „როსტომ მეფის სახლის უხუცესად" (ვ. ფუთურიძე, 1955:510).

იტრიაში დამკვიდრებულმა ჩხეიძეებმა XVII-XVIII საუკუნების მანძილზე სათანადო ყურადღება მიაქციეს აქ არსებულ მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სამონასტრო კომპლექსს. XVII ს-ის 40-იანი წლებისთვის მონასტერი საკმაოდ დაზიანებული ყოფილა. ჩხეიძეებმა იზრუნეს არამარტო მონასტრის აღდგენა განახლებაზე, არამედ მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც. მონასტერზე ზრუნავდა ქართლის სამეფო კარიც, რომელიც არა მარტო მატერიალურ დახმარებას უწევდა არამედ უწესებდნენ მთელ რიგ შეღავათებს და სხვა.

იტრიის მონასტერში გვიანობამდე შემორჩენილი იყო მთელი რიგი სიძველეები. ესენი იყო ხატები, ზარი, სიგელ–გუჯრები, რაც უკავშირდებოდა იტრიელ ჩხეიძეებს.

სიძველეებიდან ყურადღებას იქცევდა „თავი ხატი იტრიის ეკლესიისა" . იგი ღვთისმშობლის ხატს წარმოადგენდა და ოქროთი იყო მოჭედილი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მრავალნაწილიანი ხატი, რომლის შესახებაც ე. თაყაიშვილი წერს:

„აქვე ასვენია მეორე ხატი, მრავალნაწილიანი. ეს უკანასკნელი ჰკუთნებია სოფელ ჩუმათელეთის ეკლესიას და იქიდან გადმოუტანიათ იტრიის ეკლესიაში. მრავალნაწილიანი ხატი ხისაა და კიდეებზე ვერცხლის არშია აქვს შემოჭედილი. სიგრძე აქვს 12 ვერშოკი, განი 6, ნაწილები ოთხკუთხიან უჯრებად არის დაყოფილი, გარდა სამისა, შუა ადგილას, რომელთაც ჯუარის სახე აქვთ, სულ 94 ნაწილიანი ყოფილა ამ ხატში, მაგრამ ზოგიერთი დაკარგულა. ხატს ცეცხლის გავლენა აჩნევია, მეორე გვერდი ხისა ცოტა დანახშირებულია ზემოთ " (თაყაიშვილი, 1890:25).

ხატს, ქვემოთ ვერცხლის არშიაზე, ორივე მხარეს მხედრული ასოებით შესრულებული წარწერა ჰქონია: ,,მე სასოებით მონდობილმან საფარავთა შენთამან, გურგასლიანის შვილმან ბეჟან, და ძეთა ჩვენთა ქაიხოსრო - მოვაჭედინეთ და შევკაზმეთ ხატი ესე მრავალნაწილიანი

დღეთა ჩვენთა სადღეგრძელოთ და სულისა ჩვენისა საოხად. თვით საყდრის მეტი შენობა არ დაგვხდომია რა, ყველა ჩვენის მოღვაწეობით მოვრთევით, რაც ოდენ ძალ გვედვა, და ექვსი კვამლი ჩუმათელიძეები ჩვენ ჩხეიძემ შევწირეთ, ქორონიკონს ტნი" (1672) (თაყაიშვილი, 1890:25).

როგორც დავინახეთ, ე. თაყაიშვილი ამ ხატს ჩუმათელეთის ეკლესიის საკუთრებად მიიჩნევს, თუმცა წარწერაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ ჩხეიძეები ჩუმათელიძეებს წირავენ საყდარს.

მაგრამ რომელ საყდარს?

აქ გორგასლანის შვილი ბეჟანი და მისი ძე – ქაიხოსრო უნდა გულისხმობდნენ იტრიის ეკლესიას, რომელსაც გიორგი ბატონიშვილმა ჯერ კიდევ დოროთეოზ კათალიკოსის დროს ჩუმათელიძეების გვარიდან არაერთი გლეხი შეწირა.

წარწერაში ყურადღებას იპყრობს შემდეგი სიტყვები: „თვით საყდრის მეტი შენობა არ დაგვხვდომია რა, ყველა ჩვენის მოღვაწეობით მოვრთევით, რაც ძალ გვედვა" . აქ ბეჟან ჩხეიძე უნდა გულისხმობდეს იტრიაში ჩხეიძეების დამკვიდრებას. მან თავის ძმასთან – ნიკოლოზთან ერთად, განაახლა იტრიის მონასტერი, შემოავლო გალავანი, ააშენა სამრეკლო და ა.შ. სწორედ ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს წარწერის ზემოთ მოყვანილი სტრიქონები.

რაც შეეხება ჩუმათელიძეებს, რომლებსაც ბეჟან ჩხეიძე წირავს „საყდარს", ისინი სოფელ ძელძვინის, შემდგომში ჩუმათელეთის, მკვიდრნნი არიან. წარწერაში მოხსენებული ჩუმათელიძეები არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ეს მრავალნაწილიანი ხატი მაინცდამაინც ჩუმათელეთის ეკლესიას ეკუთვნოდა. იგი იტრიის ეკლესიის საკუთრება უნდა ყოფილიყო, მით უფრო რომ დოროთეოზ კათალიკოსი თავის შეწირულობის სიგელში რამდენიმე „მრავალ–ნაწილიან" ხატზე მიუთითებს (ქსძ, 1970:354).

ამავე ხატზე ლაპარაკობს გიორგი ავალიშვილიც, რომელსაც 1819 წელს უნახავს იგი. „...ვემთხვივენით წმიდასა ხატსა იტრიის ღვთიშობლისასა, - წერს იგი, - კმად დიდსა, წმინდითა ოქროითა შემკობილსა და ცხოველმყოფელთა ძელთა, ოდესმე მდიდარ-ყოფელსა, რომელისაცა ალაგი არს მას ზედა დღეს ცალიერი. წმიდასა ამას ხატს ზედ წერილი იჩუნების, მით რამეთუ არს ესე მოჭედილ ოქროითა და მორთვულ ნაწილებითა თავადისა ბეჟან გორგასლან ჩხეიძისა მიერ" (ავალიშვილი, 1967:13).

ვფიქრობთ, ამავე ხატზეა საუბარი როსტომ მეფის 1645 წლის სიგელში, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს შემდეგი სიტყვები:

„ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, გკადრეთ და მოგახსენეთ, შენ, საშინელსა და თვალთშეუდგამსა, იტრიას სიონთა ღვთისმშობელსა და მას შინა დამყარებულსა ხატსა მიძინებისასა, მრავალ ნაწილსა და სასწაულთ–მოქმედსა და ელვა – კრთომით გაბრწყინებულსა" (თაყაიშვილი, 1910:129-130).

ბეჟან ჩხეიძე XVII-ის 30 -იანი წლების დასაწყისიდან 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე გვხვდება საისტორიო წყაროებში და ჩანს, იგი არის ჩხეიძეთა სახლის მეთაური.

ამ პერიოდის ჩხეიძეთა სახლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე - გორგასალ ჩხეიძის შვილი, ბეჟან ჩხეიძის ძმა.

სასულიერო სფეროში განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩხეიძეთა იმერეთის სახლის წარმომადგენელთა მოღვაწეობა. ქართლელ ჩხეიძეებიდან ერთ-ერთი მხოლოდ ნიკოლოზია - თბილისისა და ქართლის მთავარეპისკოპოსი. გვხვდება ურბნელი მთავარეპისკოპოსიც, სვიმონი, ქაიხოსრო ჩხეიძის შვილი, ბეჟან ჩხეიძის შვილიშვილი (სცსსა, ფ. 1448, საბუთი #1494).

1671 წლის შემდეგ ნიკოლოზ ჩხეიძე წყაროებში აღარ მოიხსენიება.

იტრიის ეკლესიაში, სამკვეთლოს სიახლოვეს მდგარ ბურჯთან მონაცრისფერო გრანიტის ქვის ერთი მოზრდილი ფილაა იატაკზე დაგებული. ჩანს, რომ იგი საფლავის ქვის ნაწილია. სამხრეთის ნავში, ბურჯებს შორის, იატაკზე დაგებული მცირე ზომის ფილაც ამავე ქვის ნაწილი უნდა იყოს. ეს, ალბათ, XIX საუკუნის 60–იანი წლების დროინდელი არის, როცა ეკლესიაში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარეს. აქვე სამხრეთის კედელთან საფლავის ფილაა, რომელზეც წარწერა გადაფხეკილია და შეუძლებელია რამის ამოკითხვა.

სამკვეთლოს სიახლოვეს დაგებულ ფილაზე შეიმჩნევა წარწერის კვალი. კარგად იკითხება „ტნთ“, რაც ალბათ ქორონიკონის აღმნიშვნელი უნდა იყოს. იკითხება აგრეთვე სიტყვების ფრაგმენტები: „ასა“, „ამა“. ასეთივე წარწერის ფრაგმენტი შეიმჩნევა სამხრეთის ნავში მსგავს ფილაზე – ,,კარ“.

„ტნთ“–ს რიცხვითი მნიშვნელობა 359–ია, რაც უდრის ქორონიკონის 1671 წელს (1312+359=1671). რას უნდა გვეუბნებოდეს საფლავის ქვაზე გაკეთებული ეს მინიშნება? მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა თუ შეიძლება. იტრიაში ხომ არ უნდა იყოს დაკრძალული ნიკოლოზ ჩხეიძე – ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი 1671 წელს გარდაიცვალა და მის მიერვე აღდგენილ და გამშვენიერებულ ეკლესიაში დაიკრძალა? იგი ხომ ამ მონასტრის წინამძღვარიც იყო XVII საუკუნის 40–50–იან წლებში. და კიდევ ერთი: იტრიის ეკლესია ხომ ჩხეიძეთა საძვალედ ითვლებოდა.

ბეჟან ჩხეიძის ძმების - ქაიხოსროსა და დავითის შთამომავლობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, ყოველი შემთხვევისთვის ჩვენ მიერ მოძიებული დოკუმენტები მათზე არაფერს მიგვანიშნებს. ჩანს, მხოლოდ ბეჟან ჩხეიძის შთამომავლობა. მას სამი ვაჟი ჰყავს - ქაიხოსრო, თეიმურაზი და სეხნია. საბუთებში ჩანს ქაიხოსროს შთამომავლობა. 1693 წლის ერთი საბუთის მიხედვით, ქაიხოსროს ჰყავს ექვსი ვაჟი: თეიმურაზი, სეხნია, პაატა, ფარემუზ, გორგასალი და დავითი (ხეც, Ad-1610).

ქაიხოსრო ჩხეიძე უნდა იყოს ბეჟან ჩხეიძის შემდეგ ქართლის ჩხეიძეთა სახლის მეთაური.

ქაიხოსროს შვილი თეიმურაზი, „დასტურლამალის“ მიხედვით, ფლობს ბოქაულთუხუცესის სახელოს (ქსძ, 1965:240). ეს სახელო მას ქართლში ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დასაწყისიდან (1703წ.) უნდა სჭეროდა ვიდრე გარადაცვალებამდე (1711 წ.).

ქაიხოსრო ჩხეიძის მეორე შვილია - სეხნია ჩხეიძე - ცნობილი ისტორიკოსი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. იგი 1707 წლიდან ქართლის მოლარეთუხუცესია და ამ სახელოს უნდა ფლობდეს ქართლში ოსმალების გაბატონებამდე - 1724 წლამდე.

სეხნია ჩხეიძეს ეკუთვნის ერთი საისტორიო თხზულება „ცხოვრება მეფეთა”, რომელშიც მოთხრობილია ქართლ-კახეთის მეფეთა თავგადასავალი 86 წლის განმავლობაში, - 1653 წლიდან 1739 წლამდე.

სეხნია ჩხეიძე უნდა ყოფილიყო მამის - ქაიხოსროს შემდეგ ჩხეიძეთა სახლის მეთაურიც.

1707 წელს გიორგი მეფემ სეხნია ჩხეიძეს ,,უბოძა საბოძვარი მრავალი და ქართლის მოლარეთხუცობა". სეხნია ამ სახელოს უნდა ფლობდეს ქართლში ოსმალების გაბატონებამდე - 1724 წლამდე.

საქართველოს სიძველეთსაცავეებში დაცულია რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში ქართლში სეხნია ჩხეიძის მდგომარეობაზე გვაძლევს ინფორმაციას.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის, რომლის მიხედვით სეხნია ჩხეიძე იტრიაშია (ს. ჯიქია, 2009:270). აქვეა მისი შვილი გიორგი და შვილიშვილი ქაიხოსრო. სეხნია ჩხეიძეს აფიქსირებენ აგრეთვე სოფელ ლუბრუმის აღწერის დროსაც (ს. ჯიქია, 2009:273).

სეფი - ხანის 1737 წლის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მას იმერეთში ეკუთვნის წიფა და ფონა. ქართლში, ხაშურის რეგიონში, იტრიის გარდა, იგი ფლობს გვერდისუბანს, ლუბრუმას

და ჩუმათელეთს, ქვემო ქართლში სოფელ ღორისთავს(ვ. ფუთურიძე, 1955:442-445). სეხნია ჩხეიძეს მამულები ჰქონდა ნაბოძები სურამის ჭალაშიც. ვახუშტის მიხედვით, სურამის ჭალა ქვიშხეთიდან, მდინარე შოლიდან იწყებოდა და გომთან, დაღალულას მინდვრამდე გრძელდებოდა. სეხნია ჩხეიძეს ამ ვრცელი ჭალის ერთი მონაკვეთი, კერძოდ, ცხრამუხიდან ახალსოფლამდე მდებარე ტერტიტორია, უნდა კუთვნებოდა. სურამის ჭალის ეს მონაკვეთი საბუთებში ჩხეიძის ჭალადაც იწოდება. ჩვენს დრომდე ხაშურში, ჭალის უბანში ფიქსირდება ტოპონიმი - ჩხეიჭალა(ჩხეიძის ჭალა), რომელიც მის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარეობდა, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ. ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც სეხნიას XVIII -ის 30-იანი წლების ცხოვრებიდან. ყურადღებას იქცევს ქართლის გამგებლის სეფი ხანის 1737 წლის 29.VI-28.VII-ით დათარიღებული ბრძანება, რომლითაც ზაზა-ბეგს (ამირეჯიბს?- თ.ლ.) ავალებს აღწეროს და ჩაიბაროს (ზავთი ქნას) სეხნია ჩხეიძის სოფლების მიერ ხაზინაში შესატანი გადასახადები. ბრძანებაში ნათქვამია: „...მირის თეთრი სეხნია ჩხეიძე მოსაცემს იყო, თითონ გაიქცა და იმისი მამულისა არ ვიცოდით ვინ სჭამდა, ვინ უვლიდა, ახლა ამ ყარარზედ (?) ზაზა - ბეგს მივეცით სეხნია ჩხეიძის სოფლები: იტრია, გვერდისუბანი, ფონა, წიფა, ლუბრამა, ღორისთავი, ჩუმათელეთი, ზაზას უბოძეთ ამისი რაიათი რაც მოსავალი არის ამ მამულში, ის სულ მალუჯათისა არის, ზავთი ქენით...“(ვ. ფუთურიძე, 1955:442-445).

ამრიგად, როცა სეფი ხანის ეს ბრძანება იწერებოდა (1737 წლის 29 ივნისი-28 ივლისი), სეხნია ჩხეიძე ქართლში არ იმყოფება. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ იგი გაქცეულია.

სამართლიანად ჩნდება კითხვა - სად?

ამ კითხვას ბრძანების სპარსულ ტექსტში ეძებნება პასუხი. სპარსული ტექსტი, რომელიც მოცულობით საკმაოდ დიდია, რა თქმა უნდა, ქართულ ტექსტს იმეორებს, მაგრამ მასში მცირეოდენ განსხვავებასაც ვხედავთ. ეს უმთავრესად ეხება პასუხს კითხვაზე, - თუ სად გაიქცა სეხნია ჩხეიძე. მოგვყავს სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი: ”გამოვიდა მაღალი ბრძანებულობა მასზე, რომ ამა წლის მალიათი დივანისა (დივანის გადასახადი) და მირის ფული სეხნია ჩხეიძეს (უნდა გადაეხადა), თვით ის, ხსენებული (ე.ი. სეხნია ჩხეიძე - თ.ლ.) გაიქცა ბაში აჩუკში (დასავლეთ საქართველოში) და გამოურკვეველია, თუ მის კუთვნილ სოფლებს და გლეხებს ვინ უვლის და (ვინ) ფლობს”.

ამ შემთხვევაშიც სამსართლიანად დაისმის კითხვა, რატომ გაიქცა სეხნია ჩხეიძე ბაში-აჩუკში, დასავლეთ საქართველოში?

სეხნია ჩხეიძის იმერეთში გაქცევის მიზეზი მისსავე თხზულებაში უნდა ვეძიოთ. ყოველ შემთვევისთვის ამას გვაფიქრებინებს მის მიერვე 1737 წელს ქართლში დატრიალებული აღწერილი ამბები.

1736 წელს ირანის ტახტზე ნადირ-შახი ადის. მან ქართლის მმართველად სეფი ხანი გამოაგზავნა. ამასთან ქართლს დიდი გადასახადები დააკისრა - სამიათას სამასი თუმანი და ხუთასი მხედარი, რომელიც მუდამ ქალაქში უნდა მდგარიყო ცხენითა და იარაღით. სეხნია ჩხეიძე მიუთითებს: ,,ზემო ქართველთ ეს ვერ შესძლეს. უკუდგა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი გივი, აბაშიძე ვახუშტი და სულ ზემო ქართლი, გაღმით თარხანი ლუარსაბ და მისი სახლის კაცნი"(ს. ჩხეიძე, 1913:49).

სეხნიას თხზულებიდან მოტანილი ამ ცნობიდან ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ უკუმდგარ ქართველთა შორის დაფიქსირებულია ,,სულ ზემო ქართლი".

ჩხეიძეებიც ზემო ქართლში არიან, აქ არის მათი რეზიდენცია - იტრია. უკუმდგარ ზემო ქართლელთა შორის უნდა ყოფილიყო სეხნია ჩხეიძეც. ერთის მხრივ, ის რაც ვერ შეძლო ქსნის ერისთავმა, გივი ამილახვარმა და ვახუშტი აბაშიძემ, ცხადია, ვერ შეძლებდა ისეთი მცირე სათავადო, როგორიც საჩხეიძო იყო ზემო ქართლში. მეორეც, სეხნია ჩხეიძე,

რომელიც ბოლომდე ერთგული რჩება ვახტანგ VI-ის კურსისა, უკმაყოფილო რომ ყოფილიყო ქართლში ირანის გაბატონებისა, გასაკვირი არ უნდა იყოს.

ამ და ალბათ, კიდევ სხვა მიზეზების გამო სეხნია ჩხეიძე აჯანყებულთა მხარეზე არის. უკუმდგარმა დიდებულებმა მოლაპარაკება გამართეს სეფი ხანთან, მაგრამ უშედეგოდ.სეფი ხანმა ყიზილბაშთა ჯარი შეუსია ქართლს: ,,წამოვიდა ჯარი, დადგა ფხვენის, და იწყეს იქიდამ თარეშის გასევა, მიუხდნენ ქსნის ერისთავსა, რამდენჯერაც მივიდნენ, ბრძანებითა ღუთისათა, იმდენჯერ გაემარჯვა. კეხუს მიუხდნენ სამჯერ ამილახვარს გივსა, სამჯერვე გაემარჯვა და მოსწყვიტეს ყიზილბაში. ამაში გამოუსია თარეში მიუხდნენ დილაბანდზე სააბაშიოს და საჩხეგოს (საჩხეიძოსა) და სურამის ხეობასა, ბევრი წაახდინეს და დაწვეს საფალავანდისშვილო და გამოყოლება ააოხრეს, დაწვეს, სადაც სიმაგრე იყო, ღუთით ვერ ავნეს-რა" (ს. ჩხეიძე, 1913:49). ასეთ ვითარებაში არ არის გასაკვირი, რომ სეხნია ჩხეიძეს იმერეთში ეპოვნა თავშესაფარი, თუმცა როგორც ჩანს მცირე ხნით. როდის დაბრუნდა სეხნია ჩხეიძე ბაშიაჩუკის ქვეყნიდან ქართლში, თავის მამულში? 1738 წელს ჩანს, რომ სეხნია ჩხეიძე უკვე ქართლშია. 1738 წლის 7 აპრილს ქართველი დიდებულები, მათ შორის სეხნია ჩხეიძეც, რუსეთის იმპერატორს ანას სთხოვენ ბაქარ ბატონიშვილის სამშობლოში დაბრუნებას, მისგან ანტიირანული ბრძოლის განახლებას და მის მეთაურობას(დ. ლომიძე, 1978:134).

ამ საბუთზე ხელმოწერით სეხნია კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ერთგულებას ვახტანგ VI-ისადმი და ანტიირანულ განწყობილებას.

სეხნია ჩხეიძე XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან აღარ ჩანს წყაროებსა თუ დოკუმენტებში. პროფ. შ. ხანთაძე მიიჩნევს, რომ მისი ,,გარდაიცვალება XVIII ს-ის 40-იანი წლების შემდეგაა საგულვებელი“ (შ. ხანთაძე, 1985:123). მკვლევარ გ. იობაშვილს სავარაუდოდ მიაჩნია, რომ იგი 1745 წელს გარდაიცვალა (ქსე, 1978:175).

ვფიქრობთ, სეხნია ჩხეიძე XVIII ს-ის 40-იან წლებამდეა გარდაცვლილი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იგი თავის „ცხოვრება მეფეთაში ნამდვილად ვერ აუვლიდა გვერდს XVIII ს-ის 40-იან წლებში ქართლში დატრიალებულ ამბებს, კერძოდ გივი ამილახვარის აჯანყებას, რომლის ძირითადი პერიპეტიები სწორედ სურამში, მის შემოგარენში განვითარდა და სათანადო ადგილს მიუჩენდა თავის თხზულებაში.

რატომღაც მკვლევარების ყურადღების მიღმა დარჩა ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის თხზულების ,,ამბავი ქართლისანის“ ცნობა სეხნია ჩხეიძის გარდაცვალების თარიღის შესახებ.

პაპუნა ორბელიანი ასე იწყებს თავის თხზულებას: ,,ვინათგან ვიდრე აქამომდე აღწერილი იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერელსა ამისას ჩხეიძე სეხნიასა დაშთომოდა შემდგომნი ყოფილნი და ყოფადნი. და მე, პაპუნა ორბელიანმა, ხელვყავ აღწერად...“ (პ. ორბელიანი, 1981:42). პაპუნა ორბელიანის თხზულების გვიანდელ (1846 წ.) ხელნაწერში, რომელიც ფარნაოზ ბატონიშვილის დაკვეთით არის გადაწერილი, პირდაპირ არის მითითებული, რომ ,,წინადგან, ვიდრე აქამომდე აღწერილი იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერის ამისა ჩხერისძე (ჩხეიძე) სეხნისაგან, და ვეღარ აღეწერა შემდგომად ამბავნი და მომკვდარიყო“ (ხეც, S-37). სეხნია ჩხეიძის ,,ცხოვრება მეფეთა“ 1739 წლის მარტში მომხდარი ამბის გადმოცემით მთავრდება, პაპუნა ორბელიანი კი თავის თხზულებას იმავე წლის ივლისში მომხდარი ამბით იწყებს. სეხნია ჩხეიძის განსასვენებელი იტრიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში უნდა ვეძებოთ, რადგან ეს ეკლესია ტრადიციულად ჩხეიძეთა საძვალედ არის მიჩნეული XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან.

ამრიგად, სეხნია ჩხეიძე უნდა გარდაცვლილიყო 1739 წლის მარტის შემდეგ, არაუგვიანეს ივლისამდე. სეხნია ჩხეიძის შემდეგ ქართლის ჩხეიძეები პოლიტიკურ სარბიელზე აღარ ჩანან, არც რაიმე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ან საქმიანობას ეწევიან. სეხნია ჩხეიძესთან

მთავრდება ქართლის ჩხეიძეთა აქტიური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა. ჩხეიძეთა ნათესაურმა სიახლოვემ ქართლის სამეფო კართან დიდი გავლენა იქონია მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მნიშვნელოვნად განსაზღვრა მათი პოლიტიკური ორიენტაცია. ისინი დიდად ერთგულობენ თავიანთ სისხლით ნათესავებს და მათ გვერდით დგანან. ეს კარგად ჩანს ქართლის მეფეების როსტომის (1632–1658), ვახტანგ V-ის (1658–1675), გიორგი XI-ის (1675–1688), ქაიხოსროს(1703–1711), ვახტანგ VI–ის (1712–1724) და სხვათა მიმართ ჩხეიძეთა დამოკიდებულებაში.

სეხნია ჩხეიძის შემდეგ ქართლის ჩხეიძეები პოლიტიკურ სარბიელზე აღარ ჩანან. მასთან მთავრდება ქართლის ჩხეიძეთა აქტიური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა. დასკვნა. XVI საუკუნის 90 - იანი წლებიდან იმერეთიდან ქართლში გადმოდიან ქართლის სამეფო კართან დაახლოვებული ჩხეიძეთა ფეოდალური საგვარეულოს ერთ-ერთი ოჯახი ქექაოზ ჩხეიძის მეთაურობით. ქექაოზ ჩხეიძეს ცოლად ჰყავს ლუარსაბ მეფის (1527-1556) ასული. XVII ს-ის 30-40 წლების მიჯნაზე ქართლის სამეფოს უკიდურეს დასავლეთით, ლიხის ქედის მთისწინეთში მათ შექმნეს მცირე სათავადო ,,საჩხეიძო“, ცენტრით იტრია.

ჩხეიძეები ენათესავებიან ბაგრატიონთა როგორც ძირითად, ასევე გვერდით შტოს-ბაგრატიონ-მუხრანბატონებს, აგრეთვე სააკაძეთა ცნობილ საგვარეულოს. ასეთმა ურთიერთობამ გარკვეული როლი ითამაშა მათ დაწინაურებასა და მდგომარეობაზე.

ჩხეიძეებმა სამეფო კარისგან იტრიასთან ერთად აქვე მიიღეს მონასტერიც. ჩხეიძეთა სახლის ცნობილი წარმომადგენელი ნიკოლოზ ჩხეიძე - ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი, მიუთითებს, რომ მონასტერი ჩხეიძეებს საამეფო კარმა უბოძა: ,,...ვითაცა დიდთა მეფეთა ტაძარი ესე თქუენი და შესავალი თქუენი ალაგები მოგიეცეს და მოგუიბოძეს“. ჩხეიძეებმა მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდეს იტრიის ღვთისმშობლის მიძინების სამონასტრო კომპლექსის აღდგენა-აღორძინებას.

იმერეთის ჩხეიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მოღვაწეობა XVI-XVIII საუკუნეებში წარმატებული იყო დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში. მათ ვხედავთ სასულიერო იერარქიის მაღალ საფეხურებზე. ქართლის ჩხეიძეებს ნაკლებად ვხედავთ სასულიერო სფეროში. გამონაკლისს წარმოადგენს ნიკოლოზ ჩხეიძე - ჩხეიძეთა სახლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი. იგი ქართლის ჩხეიძეთა სახლის ფუძემდებლის - ქექაოზ ჩხეიძის ვაჟის, გორგასალ ჩხეიძის შვილია. უნდა ვივარაუდოთ, რომ XVII - ის 40 - იანი წლებისათვის ნიკოლოზი უკვე სასულიერო სფეროში მოღვაწეობს. ნიკოლოზ ჩხეიძე, მანამ ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი გახდებოდა, იტრიის ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის წინამძღვარია. მან აქ მოღვაწეობის პერიოდში დიდი სამუშაოები განახორციელა მონასტრის განახლების თვალსაზრისით. ნიკოლოზ ჩხეიძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავის თანადროული ქართლის საეკლესიო ცხოვრებაში. ნიკოლოზ ჩხეიძის შემდეგ საეკლესიო იერარქიის მაღალ საფეხურზე ჩანს ქართლის ჩხეიძეთა კიდევ ერთი წარმომადგენელი. ეს არის ურბნელი მთვარეპისკოპოსი სვიმონ ჩხეიძე. სეხნია ჩხეიძე - XVIII საუკუნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და ისტორიკოსი, ქართლის (იტრიის) ჩხეიძეთა სახლის წარმომადგენელია. საქართველოს სიძველეთსაცავებში (საისტორიო არქივი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დაცულია არაერთი საყურადღებო დოკუმენტი, რომელთა

გათვალისწინებითაც შესაძლებელი ხდება შევავსოთ ისტორიკოსის ცხოვრების არამარტო ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი პერიოდი, არამედ შევისწავლოთ მისი ,,გამოურკვევლად დარჩენილი" უცნობი ,,ცხოვრების მიმდინარეობა და თავგადასავალიც". სეხნია ჩხეიძის განსასვენებელი იტრიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში უნდა ვეძებოთ, რადგან ეს ეკლესია ტრადიციულად ჩხეიძეთა საძვალედ არის მიჩნეული XVII ს-ის 40-იანი წლებიდან.

სეხნია ჩხეიძეს ეკუთვნის ისტორიული თხზულება ,,ცხოვრება მეფეთა", რომელშიც გადმოცემულია ქვეყნის ისტორია 1653 წლიდან 1739 წლებამდე. სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე იძლევიან XVII – XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის გაბმულ თხრობას, რაც მეტად მნიშვნელოვანს ხდის ცალ-ცალკე და ერთად მათ დამსახურებას სამამულო ისტორიოგრაფიის წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა

ავალიშვილი, გ. (1967). *მგზავრობაი თბილისიდან იერუსალემამდე,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ.

ბატონიშვილი ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოისა, *ქართლის ცხოვრება. ტომი IV,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.

ბაგრატიონი, ი. (1996). შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. თბ.

ბურჭულაძე, თ. (2004-2005). ჩხეიძეთა საგვარეულო საქართველოს ისტორიაში, *საისტორიო მოამბე,* #77,78, თბ.

ბროსე, მარი. (1857). საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის II ნახევრამდე, სანტ-პეტერბურგი, თბ.

გორგიჯანიძე, ფ. (1925). ისტორია, *საისტორიო მოამბე,* წიგნი II, ტფ.

ეგნატაშვილი, ბერი. (1956). ახალი ქართლის ცხოვრება. *ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ.

თბილელი,იოსებ. (1989). დიდმოურავიანი, *ქართული მწერლობა,* ტ.6, თბ.

თაყაიშვილი, ე. (1890). სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ.

თაყაიშვილი, ე. (1910). საქართველოს სიძველენი, ტ. III. ტფ.

ლომიძე, დ. (2007). ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ.

ორბელიანი, პ. (1981). ამბავი ქართლისანი, თბ.

სანიკიძე, ლ. (1989). *გიორგი სააკაძე,* თბ.

სოსელია, ო. (1973). *წარკვეები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები),* წიგნი I, თბ.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1450, დავთარი #35, საბუთი #88;

დავთარი #35, საბუთი #120;
დავთარი #35, საბუთი #117;
ფონდი 1448, საბუთი # 1494;
ფირცხალაიშვილი, რ. (1998). ბრძოლა გიორგი სააკაძის წინააღმდეგ XX საუკუნის დასასრულს, გაზ. „კალმასობა“,#8. თბ.
ქსე. (1978). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ.
ქსძ. (1965). ქართული სამართლის ძეგლები, ტ II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ.
ქსძ, 1970 - ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ.
ფუთურიძე, ვ. (1955). ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ.
შენგელია, ნ. (1973). გიორგი სააკაძის ქალიშვილის ანე ხათუნის საფლავი, ჟურნ. „ცისკარი“, 1973, #9.
ჩიქოვანი, ი. (2004). ბიჭიკაშვილი ი, ჩხეიძე შ., ჩხეიძეთა საგვარეულო (ისტორიულ-გენეალოგიური გამოკვლევ), თბ.
ჩხეიძე, ს. (1913). საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ.
ხანთაძე, შ. (1985). ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში, თბ.
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd – 2124
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. H-2304
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad – 1610;
ჯამბურია, გ. (1964). გიორგი სააკაძე, თბ.
ჯიქია, ს. (2009). 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევა და ფაქსიმილიებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, წიგნი I, თბ.

REFERENCES

avalishvili, g. (1967). mgzavrobai tbilisidan ierusalemamde, t'ekst'i gamosatsemad moamzada, gamok'vleva, leksik'oni da sadziebeli daurto el. met'revelma, tb.
bat'onishvili vakhusht'i. (1973). aghts'era sameposa sakartveloisa, kartlis tskhovreba. t'omi IV, t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier, tb.

bagrat'ioni, i. (1996). shemok'lebiti aghts'era sakartvelos shina mtskhovrebta tavadta da aznaurta gvarebisa. tb.
burch'uladze, t. (2004-2005). chkheidzeta sagvareulo sakartvelos ist'oriashi, saist'orio moambe, #77,78, tb.
brose, mari. (1857). sakartvelos ist'oria udzvelesi droidan XIX s-is II nakhevramde, sant'-p'et'erburgi, tb.
gorgijanidze, p. (1925). ist'oria, saist'orio moambe, ts'igni II, t'p.

egnat'ashvili, beri. (1956). akhali kartlis tskhovreba. kartlis tskhovreba, t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier, t'omi II, tb.
tbileli,ioseb. (1989). didmouraviani, kartuli mts'erloba, t'.6, tb.
taqaishvili, e. (1890). sami ist'oriuli kronik'a, t'p.

taqaishvili, e. (1910). sakartvelos sidzveleni, t'. III. t'p.
lomidze, d. (2007). qizilbashoba 1735-1749 ts'lebis aghmosavlet sakartveloshi, tb.
orbeliani, p'. (1981). ambavi kartlisani, tb.
sanik'idze, l. (1989). giorgi saak'adze, tb.
soselia, o. (1973). nark'vevebi peodaluri khanis dasavlet sakartvelos sotsialur-p'olit'ik'uri ist'oriidan (satavadoebi), ts'igni I, tb.
sakartvelos tsent'raluri sakhelmts'ipo saist'orio arkivi. pondi 1450, davtari #35, sabuti #88;

davtari #35, sabuti #120;
davtari #35, sabuti #117;
pondi 1448, sabuti # 1494;
pirtskhalaishvili, r. (1998). brdzola giorgi saak'adzis ts'inaaghmdeg XX sauk'unis dasasruls, gaz. „k'almasoba“,#8. tb.
kse. (1978). kartuli sabch'ota entsik'lop'edia, tb.
ksdz. (1965). kartuli samartlis dzeglebi, t' II, saero sak'anonmdeblo dzeglebi (X-XIX ss.), t'ekst'ebi gamostsa, shenishvnebi da sadzieblebi daurto p'rop. i. dolidzem, tb.
ksdz, 1970 - kartuli samartlis dzeglebi, t'. III, saek'lesio sak'anonmdeblo dzeglebi (XI-XIX ss.), t'ekst'ebi gamostsa, shenishvnebi da sadzieblebi daurto p'rop. i. dolidzem, tb.
puturidze, v. (1955). kartul-sp'arsuli ist'oriuli sabutebi, t'ekst'i daadgina, targmna da shenishvnebi daurto v. puturidzem, tb.
shengelia, n. (1973). giorgi saak'adzis kalishvilis ane khatunis saplavi, zhurn. ,,tsisk'ari“, 1973, #9.

chikovani, i. (2004). bich'ik'ashvili i, chkheidze sh., chkheidzeta sagvareulo (ist'oriul-genealogiuri gamok'vlev), tb.
chkheidze, s. (1913). sakartvelos tskhovreba, meore gamotsema z. ch'ich'inadzis mier, tb.
khantadze, sh. (1985). kartuli ist'oriograpia XVIII sauk'uneshi, tb.
khelnats'erta erovnuli tsent'ri, Hd – 2124
khelnats'erta erovnuli tsent'ri. H-2304
khelnats'erta erovnuli tsent'ri, Ad – 1610;
jamburia, g. (1964). giorgi saak'adze, tb.
jikia, s. (2009). 1728 ts'lis tbilisis vilaietis didi davtari, osmaluri t'ekst'ikartuli targmanit, shesavlit, gamok'vleva da paksimiliebit gamosatsemad moamzades ak'ad. sergi jikiam da p'rop. n. shengeliam, ts'igni I, tb.